გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №11

ქ. თბილისი **12 თებერვალი 2019 წელი**

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, ,,ს[1]'' პუნქტის საფუძველზე, დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (ს/ნ 205339944), წარმომადგენელი დირექტორის მამია ჯანჯალიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N1ა და მეორეს მხრივ, შპს "ტელკო სისტემს", (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი ნუცუბიძის ქ. 221 კორპ. 1ა, ბ. 33 (ს/ნ 205203279), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანია საკუთარი სახსრებით, 2.2. მუხლით განსაზღვრული საგნის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესამაბიმისად:
2.2

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	CPV კოდი
მარშრუტიზატორის მოდული HWIC-2T=/2-Port Serial WAN Interface Card	3 ცალი	976.00	32413100
კომუტატორი WS-C2960+24TC-L/Catalyst 2960 Plus 24 10/100 + 2T/SFP LAN Base	1 ცალი	1,072.00	32420000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4000.00 (ოთხიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.
5.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N1ა.
5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 პუნქტის 7.2. პუნქტით გათვალისიწინებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის აქტი.

5.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ლოჯისტიკი იოსებ ჯოლოგუა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ნივთობრივად უნაკლო საქონელი, რომელმაც ექსპლუატაციაში გაშვებისას არ უნდა გამოავლინოს წუნი და დეფექტი. ასეთის დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს იმავე პარამეტრების მქონე საქონლის ჩანაცვლება ახლით რაზედაც გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული საგარანტიო პირობები.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ კომპიუტერული ქსელის, სისტემების და cisco-ს აკადემიის ადმინისტრატორი - მიხეილ სამხარაძე.

7.3. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მოცულობის - რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

7.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

8. გარანტია

8.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია საქონლის მოწოდებიდან - (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 30 (ოცდაათი) დღე.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ნივთობრივად უნაკლო საქონელი, რომელმაც ექსპლუატაციაში გაშვებისას არ უნდა გამოავლინოს წუნი და დეფექტი. ასეთის დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე საქონლის ჩანაცვლება ახლით 120 დღის ვადაში, რაზედაც გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული საგარანტიო პირობები.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

10.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო- სამრეწველო პალატის მიერ.

10.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

11.2. შემსყიდველი უფლებამოსულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 11.1 და 11.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ მუხლის ამ მუხლის 11.1 და 11.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.

11.5. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

12. ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში ,,მიმწოდებელთან“.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გარდა ხელშეკრულების მე - 8 მუხლისა და 11.1. პუნქტისა, აღნიშნული მოქმედებენ ხელშეკრულების 8.1. პუნქტში მითითებული ვადით.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (ს/ნ 205339944) მისამართი: თბილისი ფანჯიკიძის 1ა სახელმწიფო ხაზინა კოდი:TRESGE22	შპს „ტელკო სისტემს“ ს/კ 205203279 მისამართი: თბილისი ნუცუბიძის ქ. 221 კორპ. 1ა, ბ. 33 ბანკის დასახელება: სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა N GE75TB4021536020100006
დირექტორი	დირექტორი
_____/ მამია ჯანჯალია	Irakli Guliashvili Digitally signed by Irakli Guliashvili Date: 2019.02.12 11:19:43 +04'00' / ირაკლი გულიაშვილი